**სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს მიერ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის" (გრანტი GEO-T-NCDC/კომპონენტი C19RM2021) პროგრამის ფარგლებში კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურების შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი №1**

ქ. თბილისი 20 ივლისი 2022 წელი

**სხდომის ჩატარების ადგილი:** სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-ს (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №99) ადმინისტრაციული შენობა, მე-8 სართული.

**სხდომის ჩატარების დრო:** 12:15 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:**
**კონსტანტინე ოჩიგავა** - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

**სატენდერო კომისიის წევრები:**
**ოთარ ნამიჭეიშვილი** - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.
**ქეთევან სტვილია** - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის აივ ინფექცია/შიდსის პროგრამის მენეჯერი.
**შალვა ბაღაშვილი** - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის შესყიდვების მენეჯერი.
**ნინო ვახანია** - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს გლობალური პროგრამების ფინანსური მენეჯერი;

**სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:**
**ხათუნა კაპანაძე** - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის შესყიდვების სპეციალისტი.

**სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ:**
**ირმა ხონელიძე** - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს გენერალური დირექტორის მოადგილე/პროგრამების დირექტორი.
**მაკა დანელია** - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის აივ ინფექცია/შიდსის პროგრამის მენეჯერი.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"–ს მიერ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის" (გრანტი GEO-T-NCDC/კომპონენტი C19RM2021) პროგრამის ფარგლებში კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურების (CPV 79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა) შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) განცხადების ტექსტის, სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრების მიერ აღინიშნა, რომ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ (გრანტი GEO-T-NCDC/კომპონენტი C19RM2021) პროგრამის ფარგლებში შესასყიდია კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურება (CPV 79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა).

პროექტით გათვლისწინებული კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს კოვიდ-19-ის გავლენა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული გამოწვევების გამოვლენის და მათზე საპასუხო გამოსავლების იდენტიფიცირების მიზნით.

შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით განხორციელდა ბაზრის მოკვლევა, რაც მოიცავდა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე 2022 წლის 13 მაისს საჯარო განცხადების განთავსებას.

ბაზრის კვლევის შედეგად, ზემოაღნიშნული მომსახურების განხორცილებაზე დაინტერესებული ორგანიზაციის მიერ მოწოდებულმა ფასმა შეადგინა 70,476.00 (სამოცდათი ათას ოთხას სამოდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი, დღგ-ს გარეშე. ბაზრის კვლევის შედეგად დაფიქსირებული ფასის ანალიზისა და დონორი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის გათვალისწინებით, შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განისაზღვრა 64,750.00 (სამოცდაოთხი ათას შვიდას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარით, დღგ-ს გარეშე.

მომსახურების მიწოდების საორიენტაციო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ასევე, აღინიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 17 მარტის №01-137/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ე.ზ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაცია შეთანხმებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან (წერილი MOH 1 22 00116685, 18/07/2022წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს, აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ (გრანტი GEO-T-NCDC/კომპონენტი C19RM2021) პროგრამის ფარგლებში კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურების (CPV 79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა) შესყიდვის ელექტრონული ტენდერის განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული პროექტის (სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი თან ერთვის) შესაბამისად.

2. აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული„საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ (გრანტი GEO-T-NCDC/კომპონენტი C19RM2021) პროგრამის ფარგლებში კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურების (CPV 79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა) შესყიდვისთვის გამოცხადებულ იქნეს ელექტრონული ტენდერი 64,750.00 (სამოცდაოთხი ათას შვიდას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარზე, დღგ-ს გარეშე.

**3.** შესყიდვების პროცედურების წარიმართოს „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის შესაბამისად ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იქნეს ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე.

**4.** დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის სსიპ ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს” ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება.

**კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:**

კონსტანტინე ოჩიგავა

**კომისიის წევრები:**

ოთარ ნამიჭეიშვილი

ქეთევან სტვილია

შალვა ბაღაშვილი

ნინო ვახანია

**ოქმი გააფორმა:**

ხათუნა კაპანაძემ

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health

Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2022.07.20 17:45:27 +04'00'

შესყიდვა დასრულდება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება

| | |
|---|---|
| შესყიდვის ტიპი | ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT) |
| განცხადების ნომერი | N/A — დაამატე რჩეულებში |
| შესყიდვის სტატუსი | განცხადების პროექტი |
| შემსყიდველი | ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" |
| შესყიდვის გამოცხადების თარიღი | |
| წინადადებების მიღება იწყება | 30.07.2022 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 02.08.2022 12:00 |
| დაფინანსება | 2022 წლის სახსრები |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 64`750.00 GEL |
| წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გარეშე |

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა

| | |
|---|---|
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | მომსახურების მიწოდების საორიენტაციო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 260.00 GEL |
| გარანტიის ოდენობა | 648 GEL |
| გარანტიის მოქმედების ვადა | 160 დღე |
| დამატებითი ინფორმაცია | |

„ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ (გრანტი GEO-T-NCDC/ კომპონენტი C19RM2021) პროგრამის ფარგლებში კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურების შესყიდვა.

## შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურების შესყიდვა.

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის ( The Global Fund to Fight AID, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა" გრანტი GEO-T-NCDC/ კომპონენტი C19RM2021) პროგრამის ფარგლებში სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის მიერ დაგეგმილი მომსახურების (79300000 – ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა, გამოკითხვები და სტატისტიკა) შესყიდვა - კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით.

მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ტექნიკური დავალება

კვლევის დასაბუთება

კოვიდ-19-ით გამოწვეული საფრთხეები საყურადღებოა ზოგადი მოსახლეობისთვის და ამავდროულად განსაკუთრებით ტუბერკულოზის და აივ/შიდის საკვანძო პოპულაციებისთვის.

ტუბერკულოზი და აივ ინფექცია კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ მთელ მსოფლიოში და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით მოსალოდნელია ვითარების გაუარესება. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტუბერკულოზის გამოვლენა შემცირდა Covid-19-ის გავრცელების შეკავების მიზნით, ქვეყნების მიერ დაწესებული შეზღუდვების დროს. , , მოდელირების კვლევა, რომელიც ჩატარდა Stop TB Partnership-ის მიერ იმპერიულ კოლეჯთან, Avenir Health-თან, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტთან და USAID-თან თანამშრომლობით, აჩვენებს, რომ გლობალურად, დაწესებულმა გადაადგილების შეზღუდვებმა პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს ტუბერკულოზის დამატებით 6,3 მილიონი შემთხვევა 2020-დან 2025 წლამდე და დამატებით 1,4 მილიონი ტუბერკულოზის სიკვდილი ამ დროის განმავლობაშ. შემცირდა ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი საქართველოშიც, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის (NCTLD) მონაცემების თანახმად, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნულ სტატისტიკურ ანგარიშგებაზე, ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით დაახლოებით 25%-ით შემცირდა.

კოვიდ-19-ით გამოწვეული ჯანდაცვის სისტემების გაუარესებულმა მუშაობამ, ეკომონიკურმა კრიზისმა და გადაადგილების შეზღუდვებმა პოტენციური საფრთხე შეიძლება შეუქმნას აივ/შიდსის გამოვლენის, პრევენციულ და სამკურნალო სერვისებს. აივ ინფიცირებული და მაღალი რისკის მქონე პირები აწყდებიან მყისიერ, სიცოცხლისათვის საშიშ გამოწვევებს, რათა მიიღონ ჯანმრთელობისა და აივ-ის სერვისები, რომლებიც მათ სჭირდებათ.7 მნიშვნელოვანი შემცირებაა აივის პრევენციული სერვისების მიწოდების თვალსაზრისით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში რაც ზრდის ახალი შემთხვევების პოტენციურ რისკს. აივ-ის მოდელირების კონსორციუმმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WHO) და UNAIDS-თან თანამშრომლობით, გააკეთა მოდელირების სავარჯიშო, რომლის თანახმად, აივ-ის მკურნალობის ექვსთვიანმა შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს 300,000 დამატებითი შიდსით გამოწვეული სიკვდილი სუბსაჰარის აფრიკაში ერთი წლის პერიოდი, რეგიონი, სადაც 440,000 ადამიანი გარდაიცვალა შიდსით 2019 წელს, სავარაუდო მონაცემი გვაბრუნებს 2011 წლის მდგომარეობასთან. მნიშვნელოვანი პრობლემებია აივის ახალი შემთხვევეის გამოვლენის კუთხითაც, როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში, მაგალითად 2021 წელს მხოლოდ 492 ახალი შემთხვევის გამოვლენა მოხდა, როდესაც 530 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წელს, ხოლო 668 ინფიცირებული პირი 2019 წელს. მზაგვსი შემცირება ახალი შემთხვევების ბუნებრივი შემცირებით არ შეიძლება იყოს ახნილი რადგან რეგიონში აივ ინფიცირების მაჩვენებლები 43%-ით არის გაზრდილი და

მსოფლიოში ყველაზე არასახარბიელო მაჩვენებლით გამოირჩევა, ეს მაჩვენებელი გვაფიქრებინებს რომ ახალი შემთხვევების გამოვლენის შემცირება კოვიდ-19 ის შეზღუდვებთან არის დაკავშირებული.

ზემოთ აღწერილი პოტენციური რისკების საპასუხოდ საქართველოს ჯანდაცვის სისტემამ მოახდინა გარკვეული ადაპტაცია, თუმცა არსებული ღიობების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება რათა გაუმჯობესდეს ეროვნული პასუხი ორივე დაავადების შემთხვევაში და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

პროექტის მიზანი და სპეციფიური ამოცანებია

მიზანი

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს კოვიდ-19-ის გავლენა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული გამოწვევების გამოვლენის და მათზე საპასუხო გამოსავლების იდენტიფიცირების მიზნით.

ამოცანები

1. შეაფასოს აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნული პასუხის ადაპტაცია კოვიდ-19 ის პირობებში.

შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ინდიკატორები:

1.1 შეფასებული დაწესებულებებიდან რამდენი დაწესებულება იძლეოდა საშუალებას მედიკამენტების ყოველდღიური მიღება განხორციელებულიყო ვიდეო მეთვლაყურეობის ქვეშ პანდემიის პერიოდში (რაოდენობა, %);

1.2 შეფასებული აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობის დაწესებულებებიდან რამდენი დაწესებულება იძლეოდა საშუალებას მედიკამენტების ყოველთვიური ან სამი თვის მარაგის შეუფერხებელი გაცემისა პანდემიის პერიოდში (რაოდენობა, %);

1.3 შეფასებული დაწესებულებებიდან რამდენი დაწესებულების (აივ ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის) დახურვა ან დროებითიო რეპროფილირება მოხდა კოვიდ-19-ის პასუხის გამო (რაოდენობა, %);

1.4 შეფასებული რაიონებიდან რამდენში მოხდა ეპიდემიოლოგიური სამსახურების გააქტიურება ინდექს პაციენტზე გამოკვლეული კონტაქტების რაოდენობის გაზრდის მიზნით (რაოდენობა, %);

1.5 შეფასებული რაიონებიდან/საიტებიდან რამდენში განხორციელდა ტუბერკულოზზე აქტიური სკრინინგი შემთხვევების გამოვლენის მიზნით (რაოდენობა, %);

1.6. შეფასებული იქნას კოვიდ ეპიდემიის გავლენა აივ ინფექციის ახალი შემთხვევების გამოვლენის დინამიკაზე როგორც ჯამურად, ისე ცალკეული რეგიონებისა და რისკის ქცევების შესაბამისად.

1.7 შეფასებული იქნას კოვიდ ეპიდემიის გავლენა აივ ინფექციის გვიანი გამოვლენის მაჩვენებელზე CD4 მაჩვენებლების შესაბამისად.

2. შეისწავლოს კოვიდ-19 გავლენა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების გამოსავლებზე, დროული გამოვლენის და კლინიკური მონაცემების ანალიზის ჩათვლით.

შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ინდიკატორები:

2.1 2020 და 2021 წლებში გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა და 2019 წელთან შედარებით შემცირების პროცენტი ჯამურად და შერეჩეული რაიონების მიხედვით(რაოდენობა, %);

2.2 2020 და 2021 წლებში დარეგისტრირებული ტუბერკულოზის ახალი და რელაფს შემთხვევების რაოდენობა, რომლებსაც GeneXpert ტესტირება ჩაუტარდათ ჯამურად და შერეჩეული რაიონების მიხედვით (რაოდენობა, %),

2.3 2020 და 2021 წლის სენსიტიური და 2019 და 2020 წლის რეზისტენტული პაციენტების წარმატებული მკურნალობის გამოსავლის პროცენტი (%);

2.4. შეფასებული იქნას აივ ინფექცია/შიდსის მოვლისა და მკურნალობის ეროვნული კასკადის მონაცემებზე კოვიდ-19 ეპიდემიის გავლენა როგორც ჯამურად, ისე რისიკის ქცევების შესაბამისად.

3. შეფასდეს აივ/შიდსით და ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის სამიზნე ჯგუფების საჭიროებები და შეფასდეს კოვიდ-19-ის პერიოდში ადაპტირებული და/ან ინოვაციური სერვისების ეფექტურობა, შემთხვევების გამოვლენაზე ყურაღების გამახვილებით.

4. შემუშავდეს რეკომენდაციები აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების გამოსავლების გასაუმჯობესებლად.

საკონსულტაციო მომსახურება უნდა მოიცვდეს სამ ძირითად ეტაპს: პირველი ფაზა - კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება: კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოს მომზადება, კვლევის პროტოლკოლის მომზადება და წარდგენა ეთიკური კომისიის საბჭოზე, კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება, მეორე ფაზა- კვლევის განხორციელება: დოკუმენტების მიმოხილვა, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება, ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვება (ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუსური ჯგუფების დისკუსიები), საერთაშორიოს გამოცდილების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა, მონაცემების ანალიზი და ტრიანგულაცია, მესამე ფაზა- რეკომენდაციების შემუშავება და ანგარიშის მომზადება, ძირითადი მიგნებების წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის.

იხ. ტექნიკური დავალება

ტექნიკური დავალება.pdf

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების ვადები.pdf

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

მომსახურება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციის 1.2. პუნქტში მითითებული ტექნიკური დავალების მიხედვით.

1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?

არა

## ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

არა

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

კი

2.4.1 მიუთითეთ პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ძირითადი პერსონალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- პროექტში დასაქმებულ ძირითად პერსონალს უნდა ჰქონდეს ანალოგიური მომსახურების მიწოდების 2 წლიანი გამოცდილება, წამოდგერნილი უნდა იყოს შესაბამისი CV-ები;

ზემოაღნიშნულ კრიტერიუმთან შესაბამისობის დადგენის მიზნით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს დამადასტურებული დოკუმენტაცია.

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

კი

2.5.1 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან (გეგმა-გრაფიკი) დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკი, 1.3 პუნქტში ატვირთული ცხრილის შესაბამისად.

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

არა

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

კი

2.8.1 მიუთითეთ ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული მოთხოვნები

ქვეკონტრაქტორის მიმართ მოთხოვნები, არსებობის შემთხვევაში:

* ძირითადი პერსონალი გამოცდილების შესახებ ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციის 2.4.1 პუნქტისის შესაბამისად;

ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებული დოკუმენტები_CV.

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს მომსახურების განხორციელების ტექნიკური აღწერა 1.2 პუნქტში ატვირთული ტექნიკური დავალების შესაბამისად.

2. პრეტენდენტმა მიერ შექმნილი, წინადადების სახით წარსადგენი დოკუმენტები (მაგ., სატენდერო წინადადება - ფასების ცხრილი, გეგმა გრაფიკი, ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ და ა.შ). დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან კვალიფიციური შტამპით. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

### ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

არა

4.1.3 მიუთითეთ კონკრეტულად თუ რის საფუძველზე არ იქნა გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება

რამდენადაც მომსახურება წარმოადგენს ინტელექტუალური მომსახურების ხასიათის შესყიდვას, ტენდერში პრეტენდენტს არ მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთება, იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.

### სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

### ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

### ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

## ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

## საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ხათუნა კაპანაძე, 595071622, kh.kapanadze@ncdc.ge *ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „გამოცხადებულია“ მინიჭებიდან ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე, სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელს უფლება აქვს, სისტემაში არსებული „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, მოითხოვოს სატენდერო პირობების კონკრეტული ჩანაწერის განმარტება. სატენდერო კომისია კითხვის დასმიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, გააკეთებს შესაბამის განმარტებას. აღნიშნულით შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.*

## დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

10.1.1. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებლებს;

10.1.2. სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში;

10.1.3. ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე დაბალ სატენდერო წინადადების ფასს და ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს;

10.1.4. სატენდერო კომისია სატენდერო წინადადებებს განიხილავს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შედეგები გამოქვეყნდება სისტემის მეშვეობით;

10.1.5. ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები ან/და ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან/და უცხო ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ქართული თარგმანი;

10.1.6. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია;

10.1.7. პრეტენდენტი სატენდერო წინადადების წარმოდგენით ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. თუ ხელშეკრულების გასაფორმებლად მოწვევის შემდგომ აღმოჩნდება, რომ გამარჯვებული პრეტენდენტი არ ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრულ რომელიმე პირობას, აღნიშნული აღქმული იქნება, როგორც მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა, რისი გათვალისწინებითაც მოხდება მისი დისკვალიფიკაცია ტენდერიდან;

10.1.8. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება;

10.1.9. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ.გვერდზე განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი“- https://www.theglobalfund.org/media/3275/corporate_

codeofconductforsuppliers_policy_en.pdf/, იხელმძღვანელოს საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა გაცვლის სახელმძღვანელოს https://www.theglobalfund.org/media/9564/core_criticaldatamanagement_guidance_en.pdf) პირობებით.

## სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

## შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის ( The Global Fund to Fight AID, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ (გრანტი GEO-T-NCDC/ კომპონენტი C19RM2021) პროგრამის ფარგლებში კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურება (79300000 – ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა, გამოკითხვები და სტატისტიკა).

მომსახურების მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### ტექნიკური დავალება

### კვლევის დასაბუთება

კოვიდ-19-ით გამოწვეული საფრთხეები საყურადღებოა ზოგადი მოსახლეობისთვის და ამავდროულად განსაკუთრებით ტუბერკულოზის და აივ/შიდის საკვანძო პოპულაციებისთვის.

ტუბერკულოზი და აივ ინფექცია კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ მთელ მსოფლიოში და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით მოსალოდენლია ვითარების გაუარესება. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტუბერკულოზის გამოვლენა შემცირდა Covid-19-ის გავრცელების შეკავების მიზნით, ქვეყნების მიერ დაწესებული შეზღუდვების დროს.[1,2,3] მოდელირების კვლევა, რომელიც ჩატარდა Stop TB Partnership-ის მიერ იმპერიულ კოლეჯთან, Avenir Health-თან, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტთან და USAID-თან თანამშრომლობით, აჩვენებს, რომ გლობალურად, დაწესებულმა გადაადგილების შეზღუდვებმა პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს ტუბერკულოზის დამატებით 6,3 მილიონი შემთხვევა 2020-დან 2025 წლამდე და დამატებით 1,4 მილიონი ტუბერკულოზის სიკვდილი ამ დროის განმავლობაშ.[4] შემცირდა ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი საქართველოშიც, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის (NCTLD) მონაცემების თანახმად, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნულ სტატისტიკურ ანგარიშგებაზე, ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით დაახლოებით 25%-ით შემცირდა.

კოვიდ-19-ით გამოწვეული ჯანდაცვის სისტემების გაუარესებულმა მუშაობამ, ეკომონიკურმა კრიზისმა და გადაადგილების შეზღუდვებმა პოტენციური საფრთხე შეიძლება შეუქმნას აივ/შიდსის გამოვლენის, პრევენციულ და სამკურნალო სერვისებს.[5] აივ ინფიცირებული და მაღალი რისკის

[1] Pang Y, Liu Y, Du J, Gao J, Li L. Impact of COVID-19 on tuberculosis control in China. Int J Tuberc Lung Dis. 2020;24(5):545-547. doi:10.5588/ijtld.20.0127

[2] Meneguim AC, Rebello L, Das M, et al. Adapting TB services during the COVID-19 pandemic in Mumbai, India. Int J Tuberc Lung Dis. 2020;24(10):1119-1121. doi:10.5588/ijtld.20.0537

[3] Magro P, Formenti B, Marchese V, et al. Impact of the SARS-CoV-2 epidemic on tuberculosis treatment outcome in Northern Italy. Eur Respir J. 2020;56(4):2002665. Published 2020 Oct 1. doi:10.1183/13993003.02665-2020

[4] Stop TB Partnership. The potential impact of the Covid-19 response on tuberculosis in high-burden countries: a modelling analysis, 2020

[5] Global HIV Prevention Coalition (GPC) - Preventing HIV infections at the time of a new pandemic. A synthesis report on programme disruptions and adaptations during the COVID-19 pandemic in 2020.

მქონე პირები აწყდებიან მყისიერ, სიცოცხლისათვის საშიშ გამოწვევებს, რათა მიიღონ ჯანმრთელობისა და აივ-ის სერვისები, რომლებიც მათ სჭირდებათ.[5] მნიშვნელოვანი შემცირებაა აივის პრევენციული სერვისების მიწოდების თვალსაზრისით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში რაც ზრდის ახალი შემთხვევების პოტენციურ რისკს. აივ-ის მოდელირების კონსორციუმმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WHO) და UNAIDS-თან თანამშრომლობით, გააკეთა მოდელირების სავარჯიშო, რომლის თანახმად, აივ-ის მკურნალობის ექვსთვიანმა შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს 300,000 დამატებითი შიდსით გამოწვეული სიკვდილი სუბსაჰარის აფრიკაში ერთი წლის პერიოდი, რეგიონი, სადაც 440,000 ადამიანი გარდაიცვალა შიდსით 2019 წელს, სავარაუდოდ მონაცემი გვაბრუნებს 2011 წლის მდგომარეობასთან.[6] მნიშვნელოვანი პრობლემებია აივის ახალი შემთხვევეის გამოვლენის კუთხითაც, როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში, მაგალითად 2021 წელს მხოლოდ 492 ახალი შემთხვევის გამოვლენა მოხდა, როდესაც 530 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წელს, ხოლო 668 ინფიცირებული პირი 2019 წელს.[7] მზაგვსი შემცირება ახალი შემთხვევების ბუნებრივი შემცირებით არ შეიძლება იყოს ახნილი რადგან რეგიონში აივ ინფიცირების მაჩვენებლები 43%-ით არის გაზრდილი[8] და მსოფლიოში ყველაზე არასახარბიელო მაჩვენებლით გამოირჩევა, ეს მაჩვენებელი გვაფიქრებინებს რომ ახალი შემთხვევების გამოვლენის შემცირება კოვიდ-19 ის შეზღუდვებთან არის დაკავშირებული.

ზემოთ აღწერილი პოტენციური რისკების საპასუხოდ საქართველოს ჯანდაცვის სისტემამ მოახდინა გარკვეული ადაპტაცია, თუმცა არსებული ღიობების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება რათა გაუმჯობესდეს ეროვნული პასუხი ორივე დაავადების შემთხვევაში და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

## პროექტის მიზანი და სპეციფიური ამოცანებია

### მიზანი

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს კოვიდ-19-ის გავლენა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული გამოწვევების გამოვლენის და მათზე საპასუხო გამოსავლების იდენტიფიცირების მიზნით.

### ამოცანები

1. შეაფასოს აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნული პასუხის ადაპტაცია კოვიდ-19 ის პირობებში.

   შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ინდიკატორები:

   1.1 შეფასებული დაწესებულებებიდან რამდენი დაწესებულება იძლეოდა საშუალებას მედიკამენტების ყოველდღიური მიღება განხორციელებულიყო ვიდეო მეთვლაყურეობის ქვეშ პანდემიის პერიოდში (რაოდენობა, %);

[6] Hogan AB, Jewell BL, Sherrard-Smith E, Vesga JF, Watson OJ, Whittaker C, et al. Potential impact of the COVID-19 pandemic on HIV, tuberculosis, and malaria in low-income and middle-income countries: a modelling study. Lancet Glob. Health. 2020.
[7] ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი- აივ ინფექცია/შიდსის გავრცელება საქართველოში_2021.
8 UNAIDS- GLOBAL AND REGIONAL DATA_2021

1.2 შეფასებული აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობის დაწესებულებებიდან რამდენი დაწესებულება იძლეოდა საშუალებას მედიკამენტების ყოველთვიური ან სამი თვის მარაგის შეუფერხებელი გაცემისა პანდემიის პერიოდში (რაოდენობა, %);

1.3 შეფასებული დაწესებულებებიდან რამდენი დაწესებულების (აივ ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის) დახურვა ან დროებითიო რეპროფილირება მოხდა კოვიდ-19-ის პასუხის გამო (რაოდენობა, %);

1.4 შეფასებული რაიონებიდან რამდენში მოხდა ეპიდემიოლოგიური სამსახურების გააქტიურება ინდექს პაციენტზე გამოკვლეული კონტაქტების რაოდენობის გაზრდის მიზნით (რაოდენობა, %);

1.5 შეფასებული რაიონებიდან/საიტებიდან რამდენში განხორციელდა ტუბერკულოზზე აქტიური სკრინინგი შემთხვევბის გამოვლენის მიზნით (რაოდენობა, %);

1.6. შეფასებული იქნას კოვიდ ეპიდემიის გავლენა აივ ინფექციის ახალი შემთხვევების გამოვლენის დინამიკაზე როგორც ჯამურად, ისე ცალკეული რეგიონებისა და რისკის ქცევების შესაბამისად.

1.7 შეფასებული იქნას კოვიდ ეპიდემიის გავლენა აივ ინფექციის გვიანი გამოვლენის მაჩვენებელზე CD4 მაჩვენებლების შესაბამისად.

2. შეისწავლოს კოვიდ-19 გავლენა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების გამოსავლებზე, დროული გამოვლენის და კლინიკური მონაცემების ანალიზის ჩათვლით.

   შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ინდიკატორები:

   2.1 2020 და 2021 წლებში გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა და 2019 წელთან შედარებით შემცირების პროცენტი ჯამურად და შერეჩეული რაიონების მიხედვით(რაოდენობა, %);

   2.2 2020 და 2021 წლებში დარეგისტრირებული ტუბერკულოზის ახალი და რელაფს შემთხვევების რაოდენობა, რომლებსაც GeneXpert ტესტირება ჩაუტარდათ ჯამურად და შერეჩეული რაიონების მიხედვით (რაოდენობა, %),

   2.3 2020 და 2021 წლის სენსიტიური და 2019 და 2020 წლის რეზისტენტული პაციენტების წარმატებული მკურნალობის გამოსავლის პროცენტი (%);

   2.4. შეფასებული იქნას აივ ინფექცია/შიდსის მოვლისა და მკურნალობის ეროვნული კასკადის მონაცემებზე კოვიდ-19 ეპიდემიის გავლენა როგორც ჯამურად, ისე რისიკის ქცევების შესაბამისად.

3. შეფასდეს აივ/შიდსით და ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის სამიზნე ჯგუფების საჭიროებები და შეფასდეს კოვიდ-19-ის პერიოდში ადაპტირებული და/ან ინოვაციური სერვისების ეფექტურობა, შემთხვევების გამოვლენაზე ყურაღების გამახვილებით.
4. შემუშავდეს რეკომენდაციები აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების გამოსავლების გასაუმჯობესებლად.

საკონსულტაციო მომსახურება უნდა მოიცვდეს სამ ძირითად ეტაპს: პირველი ფაზა - კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება: კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოს მომზადება, კვლევის პროტოლკოლის მომზადება და წარდგენა ეთიკური კომისიის საბჭოზე, კვლევის ინსტრუმენტების

შემუშავება, მეორე ფაზა- კვლევის განხორციელება: დოკუმენტების მიმოხილვა, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება, ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვება (ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუსური ჯგუფების დისკუსიები), საერთაშორიოს გამოცდილების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა, მონაცემების ანალიზი და ტრიანგულაცია, მესამე ფაზა- რეკომენდაციების შემუშავება და ანგარიშის მომზადება, ძირითადი მიგნებების წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის

დანართი 1 მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების ვადები

| # | სპეციფიური აქტივობა | რაოდენობა | ღირებულება სულ | საორიენტაციო ვადები | ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | განხორციელების ფაზა 1- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება | | არაუმეტეს სრული ღირებულების 20% | 1 თვე | |
| 1.1. | კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოს შერჩევა/მომზადება | 1 | | | კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო შემუშავებულია |
| 1.2 | კვლევის პროტოკოლის მომზადება | 1 | | | პროტოკოლი შემუშავებულია და წარდგენილი |
| 1.3 | კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინსტრუმენტების მომზადება | 2 | | | კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინსტრუმენტები მომზადებულია |
| 2 | განხორციელების ფაზა 2 - კვლევის განხორციელება | | | 2.5 თვე | |
| 2.1. | ეროვნული დოკუმენტების მიმოხილვა | 1 | | | ეროვნული დოკუმენტაცია მიმოხილულია |
| 2.2 | რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება- მონაცემთა ბაზების შემუშავება | 1 | | | გაერთიანებული ბაზები |
| 2.3 | ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვება- ინტერვიუების ჩატარება | 1 | | | ჩატარებული ინტერვიუების ტრანსკრიპტები მომზადებული |
| 2.4 | საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა | 1 | | | შემუშავებულია ლიტერატურის სია |
| 2.5 | მონაცემების ანალიზი | 1 | | | მონაცემები გაანალიზებულია და მომზადებულია წინასწარი შედეგების შესახებ დოკუმნეტი |
| 3 | განხორციელების ფაზა 3 - კვლევის ანგარიშის მომზადება და წარდგენა | | | 1 თვე | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.1 | კვლევის ანგარიშის მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება | 1 | | | გამოქვეყნებული კვლევის ანგარიში |
| 3.2 | შედეგების წარდგენა დაინტერესებულ მხარეებთან | 1 | | | კვლევის შედეგების შესახებ პრეზენტაცია წარდგენილია დაინტერესებულ მხარეებთან |
| | სულ ჯამური ღირებულება დღგ-ს გარეშე | | | | |

შენიშვნა:

1. წარმოდგენილი ღირებულება უნდა მოიცავდეს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა. სხვა ხარჯები, რომლებიც ღირებულებაში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

2. ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინებს შესაბამისი დღგ-ის ოდენობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. განფასება უნდა განხორციელდეს აქტივობების მიხედვით;

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №GF-T/C2/ET/S-

ქ. თბილისი „-“ ------------ 2022 წელი

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1. ერთი მხრივ, **სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“** - ს/კ №211324351 (შემდგომში „შემსყიდველი“), ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის/პროგრამების დირექტორის ირმა ხონელიძის სახით, და მეორე მხრივ, -------------- ს/კ№------- (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი ------------- სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. შემსყიდველმა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით (**NAT**--) განახორციელა - „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) (შემდგომში „GFATM“) მიერ დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ (GEO-T-NCDC/C19RM2021 კომპონენტი) პროგრამის ფარგლებში კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნულ პასუხზე, არსებული ღიობების გამოვლენის და გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით მომსახურება (79300000 – ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა, გამოკითხვები და სტატისტიკა) მომსახურების შესყიდვა, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება სატენდერო პირობების შესაბამისად.

**3. ხელშეკრულების ღირებულება და მომსახურების ვადები**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ------ (--) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“), რომელიც მოიცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადს.
3.2. მომსახურების ღირებულება მოცემულია დანართი №1-ში (მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების საორიენტაციო გეგმა-გრაფიკი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან -------------., რომელიც განხორციელდება ხელშეკრულების დანართ №1-ით (მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების საორიენტაციო გეგმა-გრაფიკი) და დანართი №2-ით (ტექნიკური აღწერილობა) განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.
3.4. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ გამყოფილი გრანტით დაფინანსებული პროგრამა „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა" (GEO-T-NCDC/C19RM2021 კომპონენტი) (ბიუჯეტის კატეგორია: ---).

**4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
4.2. განხორციელებულ მომსახურებაზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
4.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების წერილობითი ანგარიში (დანართი1ა) დანართი №1-ით განსაზღვრული ვადების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. წარმოდგენილ წერილობით ანგარიშს თან უნდა ახლდეს დანართი №1-ის შესაბამისად განხორციელებული მომსახურების თითოეული ფაზით განსაზღვრული ღონისძიებ(ებ)ის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.
4.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 4.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების მართვის ჯგუფის ტუბერკულოზის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი --------, ფინანსების სპეციალისტი -------, შესყიდვების სპეციალისტი -------.

5.2. ინსპექტირება განხორციელდება, მიმწოდებელის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე;

5.3. ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;

5.4. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ანგარიშის წარდგენა, საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

**6. ანგარიშსწორება**

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწული მომსახურების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეულ მომსახურების წარმოდგენილი წერილობით ანგარიში, მის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

**7. მხარეთა უფლება- მოვალეობანი**

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მომსახურების ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

7.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

ბ) მიმწოდებლის დროული ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხარისხიანად თანდართული დანართ №1-ით (მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების გეგმა-გრაფიკი) და დანართი №2-ით (ტექნიკური განაცხადის) განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა

გ) მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც მხილებულნი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში.

დ) მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ.გვერდზე განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი"- https://www.theglobalfund.org/media/3275/corporate_codeofconductforsuppliers_policy_en.pdf/, იხელმძღვანელოს საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა გაცვლის სახელმძღვანელოს https://www.theglobalfund.org/media/9564/ core_ criticaldatamanagement _ guidance_en.pdf) პირობებით.

**8. პირგასამტეხლო**

8.1. მომსახურების გაწევისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულების მე-6.1 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

8.3. საჯარიმო თანხის ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით დაფიქსირების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას ან/და შესრულებელი ვალდებულების ჯამური პირგასამტეხლო დაფიქსირდება 8.3. პუნქტში მითითებული განაკვეთის ოდენობით მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.
8.6. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

**9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები**
9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10. ფორს-მაჟორული გარემოებები**
10.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
10.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
10.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
10.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
10.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
10.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
10.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
10.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

**11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**
11.1 "მხარეთა" შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.3 თუ "მხარეები" ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

12.2. მხარეთა შეანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.

12.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

## 13. სხვა პირობები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.7. ხელშეკრულება გაფორმებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება --------------- ჩათვლით.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები

**„შემსყიდველი“**

**სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

იურიდიული/ფაქტიური მისამართი:
ქ. თბილისი, 0198. კახეთის გზატკეცილი, №99
ს/კ №211324351
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ №TRESGE22
ა/ა №GE 24 NB 0330 1002 0016 5022

--------------------------------

**„მიმწოდებელი“**

------------------------------------

დანართი N 1ა

შესრულებული სამუშაოს სიტყვიერი ანგარიშის ფორმა

*(ამ ფორმის შევსება და წარდგენა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის სავალდებულოა. ფორმა უნდა წარედგინოს ყოველი თვის დასრულებიდან კონტრაქტით განსაზღვრულ ვადებში ფინანსურ ანგარიშთან ერთად)*

| | |
|---|---|
| ხელშეკრულების # ____________ | |
| პროგრამის დასახელება | |
| პროექტის სახელწოდება ____________ | |
| ფორმა შეავსო ____________ (სახელი, გვარი) | ____________ (პოზიცია) |
| შევსების თარიღი ____________ | |
| მიმწოდებელი____________<br>(სახელი, გვარი/ორგანიზაციის დასახელება) | ____________ (მისამართი) |
| პროექტის დაწყების თარიღი ____________ | პროექტის დასრულების თარიღი ____________ |
| საანგარიშო პერიოდის დაწყების თარიღი ____________ | საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღი ____________ |
| საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ____________ | |
| ნაზარდი ჯამით შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ____________ | |

1. რა ღონისძიებები განხორცილედა პროექტის ფარგლებში? [ჩამოთვალეთ გეგმა გრაფიკის მიხედვით/რიგითობით და აღწერეთ ცალკეული აქტივობა]
2. წარმოადგინეთ სწავლების მასალები: კურიკულუმი და სილაბუსი, შეფასების კითხვარი და პრე- და პოსტ- ტესტის ანალიზი
3. თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, გთხოვთ მიუთითოთ რა ვერ განხორციელდა და რა იყო ამის მიზეზი.
4. პროექტის მიმდინარეობის მოსალოდნელი ცვლილებების არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ გეგმა გრაფიკი შესაბამისი ცვლილებებით და მიზეზების მითითებით.

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

ბ. ა